

მედიაციის პრაქტიკული გზამკვლევი



გზამკვლევი მომზადდა სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ გერმანიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის პროექტის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციას და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-ისა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

მედიაციის პრაქტიკული გზამკვლევი



გზამკვლევის მიზანი

მედიაციის პრაქტიკული გზამკვლევის მიზანია უზრუნველყოს მედიაციის პროცესით დაინტერესებული პირებისათვის მკაფიო, სისტემური და პრაქტიკულად გამოსაყენებელი ინფორმაციის მიწოდება მედიაციის არსის, პრინციპების, პროცესის ეტაპების, მონაწილეთა როლებისა და მორიგების სამართლებრივი შედეგების შესახებ. გზამკვლევი მიზნად ისახავს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტიანი, ნებაყოფლობითი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მექანიზმის, უკეთ გააზრებას და მისი პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობას.

გზამკვლევის არსებული კონცეფცია ეფუძნება მის მრავალფუნქციურ დანიშნულებას და მიზნად ისახავს ერთდროულად უზრუნველყოს ინფორმირებული მხარდაჭერა როგორც მედიაციის პოტენციური მომხმარებლებისთვის, ისე მედიატორების, ადვოკატებისა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული განაპირობებს ტექსტში როგორც პრაქტიკული, ისე ანალიტიკური და განმარტებითი ნაწილების თანაარსებობას, რაც აუცილებელია მედიაციის, როგორც სამართლებრივად რეგულირებული და პრაქტიკულად კომპლექსური ინსტიტუტის, სრულფასოვანი წარმოდგენისთვის.

გზამკვლევი მოიცავს მედიაციის ზოგად და კონცეპტუალურ ჩარჩოს, საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მოქმედ პრაქტიკულ რეგულაციებს, მათ შორის კერძო და სასამართლო მედიაციის თავისებურებებს, ინსტიტუციურ მექანიზმებსა და აღსრულების წესებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასამართლო მედიაციას, მხარეთა უფლებების დაცვასა და მედიაციის გამოყენების შეზღუდვებს, ასევე ისეთ მგრძნობიერე საკითხებს, როგორიცაა საოჯახო მედიაცია, ქალთა და ბავშვთა უფლებები და ძალადობის ნიშნებზე რეაგირება.

გზამკვლევის მიზანია, გახდეს სანდო პრაქტიკული რესურსი როგორც მედიაციის მომხმარებლებისთვის, ისე პროფესიონალებისთვის – მედიატორებისთვის, ადვოკატებისთვის და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის – და ხელი შეუწყოს მედიაციის გამოყენებას ინფორმირებული, უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მედიაში არსი, პრინციპები და უპირატესობები



1.1 მედიაციის არსი

მედიაში არის დავის გადაწყვეტის ეფექტიანი და ინოვაციური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორი ან მეტი მხარის მონაწილეობით, მოლაპარაკების გზით, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიატორის მხარდაჭერით.

მედიაციის მიზანია, დავის მშვიდობიანი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოგვარების ხელშეწყობა, დაპირისპირებისა და ხანგრძლივი სასამართლო დავის თავიდან აცილებით. პროცესი ეფუძნება დიალოგსა და თანამშრომლობას, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს დამოუკიდებლად და თანაბარი ჩართულობით მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იქნება ფორმირებული. მედიატორი ამ პროცესში ასრულებს ნეიტრალური მხარდამჭერის როლს, ხელს უწყობს მხარეებს მოსაზრებების გაცვლასა და გამოსავლის გამონახვაში, თუმცა გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მხარეების მიერ. მედიაში ხელს უწყობს არაფორმალურ გარემოში სამართლიანი, სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას, ზრდის ურთიერთგაგებას, ამცირებს დაძაბულობას და კონფლიქტების გართულების რისკს, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს როგორც ინდივიდების, ასევე საზოგადოების კეთილდღეობას.

მედიაციას აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობები, რაც მას თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში მოთხოვნად და უსაფრთხო დავის გადაწყვეტის მექანიზმად აქცევს.

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის განვითარება დაიწყო 2011 წლიდან. 2019 წელს მიღებულმა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი მედიაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ამავე კანონის საფუძველზე დაფუძნდა სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია. მისი ძირითადი ფუნქციებია: მედიატორთა საქმიანობის რეგულირება, მედიაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მედიატორის პროფესიის განვითარება და კვალიფიკაციის სტანდარტების განსაზღვრა, პროფესიული ეთიკის ერთიანი წესების ჩამოყალიბება

და აღსრულება, კერძო და სასამართლო მედიაციის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მედიაციის პოპულარიზაცია და მედიატორთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. საქართველოს მასშტაბით დაარსდა როგორც თბილისის, ისე რეგიონალური მედიაციის ცენტრები. სასამართლო მედიაციის ცენტრების ქსელი რეგიონებში პერიოდულად ფართოვდება საზოგადოებისთვის მედიაციის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

1.2 მედიაციის ძირითადი პრინციპები

მედიაციის ეფექტიანობა ეფუძნება მკაფიო პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს პროცესის ბუნებას, მხარეთა უფლებებს და სამართლებრივ გარანტიებს. ეს პრინციპები პრაქტიკულად უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას, უსაფრთხოებას და შედეგიანობას.

ნებაყოფლობითობა

ნებაყოფლობითობა მედიაციის საყრდენი პრინციპია და ნიშნავს, რომ მხარეები პროცესში მონაწილეობენ საკუთარი თავისუფალი ნების საფუძველზე. მედიაციაში არ არსებობს იძულება შეთანხმებაზე, კომპრომისზე ან კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე. მხარეებს ნებისმიერ ეტაპზე აქვთ უფლება შეწყვიტონ პროცესი, შეცვალონ პოზიცია ან უარი თქვან მორიგებაზე ყოველგვარი ნეგატიური შედეგის გარეშე.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს პრინციპი მხარეებს აძლევს ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას - ისინი არ მოქმედებენ მორიგების ვალდებულების პირობებში. შედეგად, მოლაპარაკება მიმდინარეობს გულწრფელად და რეალურ ინტერესებზე დაფუძნებით, ხოლო მიღწეული შეთანხმება არის როგორც საკუთარი არჩევანის შედეგი და არა ვინმესგან თავსმოხვეული ვალდებულება.

მაგალითად, სამემკვიდრეო დავაში ოჯახის წევრები მონაწილეობენ მედიაციაში, სადაც უთანხმოება ეხება ქონების განაწილებას. ერთ-ერთი მემკვიდრე არ ეთანხმება წარმოდგენილ ვარიანტს და აცხადებს, რომ მისთვის არსებული პირობები მიუღებელია.

მედიატორი განმარტავს, რომ არც ერთი მხარე არ არის ვალდებული დათანხმდეს შეთავაზებას და თითოეულს აქვს უფლება ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტოს პროცესი ან გააგრძელოს მოლაპარაკება საკუთარი შეხედულების მიხედვით. დამატებითი განხილვის შედეგად მხარეები ნებაყოფლობით უბრუნდებიან მოლაპარაკებას და იწყებენ სხვა ალტერნატივების განხილვას.

საბოლოოდ, მიღწეული შეთანხმება ეფუძნება მხარეთა თავისუფალ და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, რაც ასახავს ნებაყოფლობითობის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას.

თვითგამორკვევის პრინციპი

თვითგამორკვევა ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება მთლიანად ეკუთვნით მხარეებს. ისინი თავად განსაზღვრავენ მედიაციის ფარგლებს, სამსჯელო საკითხებს, პრიორიტეტებსა და საბოლოო შედეგს. მედიაციის პროცესში არ არსებობს მესამე პირის მიერ მიღებული სავალდებულო გადაწყვეტილება, რაც განასხვავებს მას სასამართლოსა და არბიტრაჟისგან.

მხარეებისთვის ეს ნიშნავს შესაძლებლობას, შეთანხმება მაქსიმალურად მოარგონ საკუთარ საჭიროებებს. მხარეებს შეუძლიათ იმსჯელონ და შეთანხმდნენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება საერთოდ არ იყოს სამართლებრივი შინაარსის მქონე ან მხარეებს არ ჰქონდეთ განხილული წინმსწრებ მოლაპარაკებებში. პრაქტიკაში ეს იძლევა კრეატიული და მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტების მოძიების საშუალებას, რაც ხშირად რთულია ფორმალიზებულ სამართლებრივ პროცესში.

მაგალითად, ორი კომპანია დავობს პროდუქტის გრძელვადიანი მიწოდების ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით. სამართლებრივი დავის საგანი ფორმალურად არის ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების დარღვევის გამო. სასამართლო პროცესში გადაწყვეტა შემოიფარგლება მხოლოდ კითხვით - დაირღვა თუ არა ხელშეკრულება და რა ოდენობის კომპენსაცია ეკუთვნის დაზარალებულ მხარეს.

მედიაციის პროცესში კი მხარეები შეთანხმდნენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც **არ** წარმოადგენს უშუალოდ სამართლებრივ მოთხოვნას: მომწოდებელმა აღიარა კომუნიკაციის ხარვეზები და იკისრა ვალდებულება, დაენიშნა ცალკე საკონტაქტო პირი მომავალ თანამშრომლობაზე; მხარეებმა შეცვალეს მიწოდების გრაფიკი და ფასების ფორმულა მომავალი ექვსი თვისთვის; შეთანხმებაში ჩაიდო პირობა ერთობლივი მარკეტინგული კამპანიის განხორციელების შესახებ, რაც არც ერთ მხარეს არ ჰქონდათ მოთხოვნილი სასამართლოში.

ამგვარი შეთანხმება იყო მომავალზე ორიენტირებული და კრეატიული, რადგან ის არა მხოლოდ წარსულში წარმოშობილ დავას აგვარებდა, არამედ ქმნიდა თანამშრომლობის ახალ ჩარჩოს - შედეგი, რომელიც ფორმალიზებული სამართლებრივი პროცესის ფარგლებში პრაქტიკულად მიუღწეველია.

კონფიდენციალურობის პრინციპი

კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს, რომ მედიაციის პროცესში გამოთქმული ინფორმაცია, პოზიციები და ემოციები არ გახდება საჯარო და არ იქნება გამოყენებული მხარეთა წინააღმდეგ სხვა სამართლებრივ ან საზოგადოებრივ სივრცეში. ეს პრინციპი ვრცელდება როგორც საერთო, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

პრაქტიკულად, კონფიდენციალურობა მხარეებს აძლევს თავისუფლებას ისაუბრონ გულწრფელად, გაუზიარონ ერთმანეთს რეალური ინტერესები, შიშები და მოტივები რეპუტაციის ან სამართლებრივი რისკის გარეშე. სწორედ ამ გარემოში ხდება კონფლიქტის რეალური მიზეზების გამოვლენა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მდგრადი შეთანხმების მიღწევის ალბათობას.

ის ინფორმაცია რაც მხარეებმა მედიაციის ფარგლებში კონფიდენციალურად მიიღეს, მათ ან მედიაციის ნებისმიერი სხვა მონაწილის მიერ ვერ იქნება გამოყენებული რაიმე სამართლებრივ სივრცეში მტკიცებულების სახით.

მაგალითად, შრომით დავაში თანამშრომელი და დამსაქმებელი მონაწილეობენ მედიაციაში, რომლის მიზანია უკანონო გათავისუფლებასთან დაკავშირებული კონფლიქტის მოგვარება. დამსაქმებლის წარმომადგენელმა აცხადებს, რომ გათავისუფლების რეალური მიზეზი არ იყო დისციპლინური დარღვევა, არამედ შიდა რეორგანიზაცია, რომლის შესახებაც საჯაროდ საუბარი არ სურდათ.

მედიაცია უშედეგოდ სრულდება და თანამშრომელი სასამართლოს მიმართავს. სასამართლო პროცესში თანამშრომელი ცდილობს მიუთითოს, რომ დამსაქმებელმა მედიაციის დროს ფაქტობრივად აღიარა გათავისუფლების არალეგიტიმური საფუძველი და სთხოვს სასამართლოს, ეს გარემოება ჩაითვალოს მტკიცებულებად.

სასამართლო უარს ამბობს ამ ინფორმაციის მიღებაზე, ვინაიდან აღნიშნული განცხადება გაკეთდა მედიაციის პროცესის განმავლობაში და ექვემდებარება კონფიდენციალურობის პრინციპს. შესაბამისად, მხარეს **ეკრძალება მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის გამოყენება მტკიცებულების სახით**, მიუხედავად იმისა, რომ ის შესაძლოა არსებითად მნიშვნელოვანი იყოს დავის გადაწყვეტისთვის.

თანასწორობის პრინციპი

მედიაცია ეფუძნება მხარეთა თანასწორობას, რაც გულისხმობს არა მათი სტატუსის ან რესურსების გათანაბრებას, არამედ პროცესში მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობას. თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, იყოს მოსმენილი და გავლენა მოახდინოს შედეგზე.

პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათელია იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის არსებობს ძალთა აშკარა დისბალანსი. მედიაციის პროცესი ისე არის აგებული, რომ არც ერთ მხარეს არ მიეცეს დომინირების საშუალება, ხოლო სუსტი მხარე დაცული იყოს ზეწოლისგან. ეს ქმნის სამართლიანობის განცდას და ზრდის შეთანხმების ნდობას ორივე მხარის მხრიდან.

მაგალითად, დასაქმებული და მსხვილი კომპანია მონაწილეობენ მედიაციაში, სადაც კომპანიას ჰყავს კვალიფიციური იურიდიული წარმომადგენელი. პროცესის მიმდინარეობისას მედიატორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძალთა დისბალანსს და უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულს ჰქონდეს თანაბარი დრო და შესაძლებლობა საკუთარი პოზიციის გამოხატვისთვის. სამედიაციო მორიგების ტექსტის შეთანხმებამდე მედიატორი ურჩევს დასაქმებულს, გაიაროს კონსულტაცია იურისტთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამ გზით მედიაციის მონაწილე იღებს ინფორმირებულ არჩევანს, უთანასწორობა პროფესიულ რესურსებში მნიშვნელოვნად მცირდება და შეთანხმება ყალიბდება ნებაყოფლობითი და სამართლიანი პროცესის შედეგად.

კეთილსინდისიერების პრინციპი

მედიაციაში კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღონ პროცესში რეალური და გულწრფელი მიზნით – სცადონ შეთანხმების მიღწევა გონივრული და დამაჯერებელი სტანდარტის ფარგლებში, თუმცა შეთანხმებაზე იძულების ან მისი მიღწევის სამართლებრივი ვალდებულების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ მხარეებმა უნდა მოუსმინონ ერთმანეთის პოზიციებსა და შეთავაზებებს, განიხილონ ალტერნატიული ვარიანტები და იყვნენ მზად საკუთარი ინტერესების გადახედვისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს უწყობს საერთო გადაწყვეტის პოვნას.

კეთილსინდისიერება ასევე მოიცავს პროცესისადმი პატივისცემას: მედიაციის გამოყენება არ უნდა ემსახუროდეს დროის გაჭიანურებას, ინფორმაციის მანიპულირებას ან მეორე მხარეზე ზეწოლას. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ პროცესის ბოროტად გამოყენებისგან და იმოქმედონ ისე, რომ ხელი შეუწყონ კონსტრუქციულ დიალოგს და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული გამოსავლის მოძიებას, რაც მედიაციის არსსა და ეფექტიანობას უზრუნველყოფს. კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი ვრცელდება ასევე მედიატორზეც.

მაგალითად, კომერციულ დავაში ერთ-ერთი მხარე მონაწილეობს მედიაციაში არა შეთანხმების მიღწევის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ მედიაციის განმავლობაში შეაგროვოს ინფორმაცია და მტკიცებულებები მეორე მხარის პოზიციებისა და სტრატეგიის შესახებ, ხოლო პარალელურად გაასხვისოს სადავო ქონება და შეცვალოს ფაქტობრივი მდგომარეობა. იგი სისტემატურად უარს ამბობს ნებისმიერი ალტერნატიული შეთავაზების განხილვაზე, არ პასუხობს დასმულ კითხვებს და პროცესს იყენებს დროის გაჭიანურების ინსტრუმენტად. აღნიშნული ქცევის გათვალისწინებით, მედიატორი ასკვნის, რომ მედიაცია მიმდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპის აშკარა დარღვევით და წყვეტს პროცესს, რადგან აღარ არსებობს შეთანხმების მიღწევის რეალური და გულწრფელი მცდელობა.

მედიატორის ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

მედიაციის პროცესში არ ხდება მედიატორის მიერ მხარეთა ქცევის შეფასება, მტყუან-მართლის დადგენა ან პასუხისმგებლობის დაკისრება. პროცესი მიმართულია მომავალზე ორიენტირებულ გადაწყვეტაზე. არც ერთი მხარე არ სარგებლობს პრივილეგიით და არც ერთი პოზიცია არ განიხილება უპირატესად.

მხარეებისთვის ეს ნიშნავს უსაფრთხო გარემოს, სადაც მათ არ ემუქრებათ განსჯა ან კრიტიკა. შედეგად, მოლაპარაკება კონცენტრირდება პრობლემის გადაჭრაზე და არა ერთმანეთის დამარცხებაზე, რაც ამცირებს კონფლიქტის ესკალაციას და ზრდის თანამშრომლობის შესაძლებლობას.

მაგალითად, მშენებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავისას დამკვეთი ამტკიცებს, რომ სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა, ხოლო შემსრულებელი მიუთითებს გადაუხდელ ანაზღაურებაზე. მედიაციის პროცესში მედიატორი თავად არ აფასებს, ვისი პასუხისმგებლობაა დარღვევა და არ აკეთებს დასკვნას ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე. ამის ნაცვლად, ყურადღება კონცენტრირდება მომავალზე ორიენტირებულ გადაწყვეტაზე: სამუშაოების ხარისხის კორექტირებაზე, ხარისხის კონტროლის დამატებითი მექანიზმებზე და გადახდის ეტაპობრივ მოდელზე, რაც ორივე მხარეს კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის საშუალებას ანიჭებს. შედეგად, მოლაპარაკება გადადის პასუხისმგებლობის დაკისრებიდან რეალური პრობლემის მოგვარებაზე, რაც ამცირებს დაპირისპირებას და ზრდის თანამშრომლობის შესაძლებლობას.

პროცესის სამართლიანობისა და უსაფრთხოების პრინციპი

მედიაცია მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე წესების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას. მხარეებს თავიდანვე ესმით, როგორ წარიმართება მოლაპარაკება, რა უფლებები აქვთ და რა შესაძლებლობები ეძლევათ პროცესის განმავლობაში.

პრაქტიკული თვალსაზრისით, უსაფრთხო და პროგნოზირებადი პროცესი ამცირებს სტრესს და ემოციურ დაძაბულობას. როდესაც მხარეები თავს დაცულად გრძნობენ, ისინი უფრო გახსნილნი არიან დიალოგისთვის და მზად არიან კომპრომისისთვის, რაც მედიაციის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

მაგალითად, მემკვიდრეობით დავაში მედიაციის დასაწყისში მედიატორი წინასწარ ადგენს და აცნობს მხარეებს მკაფიო წესებს: ურთიერთპატივისცემის ვალდებულებას, სიტყვით გამოსვლის თანაბარ დროს, შეურაცხყოფელი გამონათქვამების დაუშვებლობას და პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შესვენების მოთხოვნის შესაძლებლობას. როდესაც ერთ-ერთი მემკვიდრე ემოციურად იძაბება, მედიატორი მხარეს შეახსენებს თანამშრომლობისა და ურთიერთ-პატივისცემის წესს ან დროებით აჩერებს საერთო შეხვედრას და სთავაზობს ინდივიდუალურ შეხვედრას მხარეებს. ამგვარი პროცედურული ჩარჩო ქმნის უსაფრთხო და პროგნოზირებად გარემოს, სადაც მხარეები თავს დაცულად გრძნობენ და შეუძლიათ კონფლიქტის განხილვა ზეწოლისა და შიშის გარეშე.

1.3 მედიაციის უპირატესობები

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი, გამოირჩევა ეფექტიანობითა და ეკონომიურობით, ვინაიდან იგი მინიმუმამდე ამცირებს პროცედურულ ფორმალიზმს და, შესაბამისად, ამცირებს დროით, ფინანსურ და ემოციურ დანახარჯებს. ამავედროულად, იგი ეფუძნება მხარეთა ავტონომიის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ დავის გადაწყვეტის პროცესსა და საბოლოო შედეგზე კონტროლი სრულად რჩება თავად მხარეებთან, რაც უზრუნველყოფს მათი რეალური ინტერესებისა და საჭიროებების ადეკვატურ ასახვას შეთანხმებაში და ამცირებს მესამე პირის მიერ თავსმოხვეული გადაწყვეტილების რისკს. მედიაციის კონფიდენციალური ბუნება ქმნის დაცულ კომუნიკაციურ სივრცეს, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ თავისუფლად და გულწრფელად გამოხატონ პოზიციები, ემოციები და ინტერესები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დიალოგის ეფექტიანობასა და კონსენსუსის მიღწევის ალბათობას. ამასთან, თანამშრომლობაზე ორიენტირებული პროცესი ხელს უწყობს კონფლიქტის დეესკალაციას და განაპირობებს მხარეთა შორის ურთიერთობების შენარჩუნებისა და განმტკიცების მაღალ პოტენციალს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივ თუ სოციალურ ურთიერთობებში, რომელთა გაგრძელებაც დავის დასრულების შემდეგაც აუცილებელია.

მედიაციის უპირატესობების სქემა

უპირატესობის კატეგორია

შინაარსობრივი აღწერა

 სისწრაფე და ნაკლები დანახარჯი	მედიაცია არის სწრაფი პროცესი, რომელიც არ მოითხოვს ხანგრძლივ სამართლებრივ ფორმალობებს; მნიშვნელოვნად ამცირებს დროით, ფინანსურ და ემოციურ დანახარჯებს სასამართლოსა და არბიტრაჟთან შედარებით.
 პროცესისა და შედეგის კონტროლი	გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები; ისინი აკონტროლებენ როგორც პროცესს, ისე შედეგს; შეთანხმება ასახავს რეალურ ინტერესებსა და საჭიროებებს.
 ავტონომია და მოქნილობა	მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ შეთანხმების პირობები, სამართლებრივი ჩარჩოს მკაცრი შეზღუდვების გარეშე.
 მოულოდნელი შედეგის რისკის შემცირება	არ არსებობს მესამე პირის მიერ თავსმოხვეული სავალდებულო გადაწყვეტილება; მცირდება არასასურველი შედეგის ალბათობა.
 კონფიდენციალურობა	პროცესი დახურულია; ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მონაწილე მხარეებისთვის; დაცულია რეპუტაცია და პირადი/კომერციული ინტერესები.
 უსაფრთხო საკომუნიკაციო გარემო	კონფიდენციალურობა ქმნის გულახდილი დიალოგის შესაძლებლობას; მხარეები თავისუფლად გამოხატავენ ემოციებსა და პოზიციებს.
 შეთანხმების მდგრადობა	შეთანხმება მაქსიმალურად შეესაბამება მხარეთა საჭიროებებს; იზრდება მისი ნებაყოფლობითი შესრულების ალბათობა.
 ურთიერთობების შენარჩუნება	პროცესი ორიენტირებულია თანამშრომლობაზე და არა დაპირისპირებაზე; ხელს უწყობს ურთიერთგაგებას.
 გრძელვადიანი ურთიერთობების მხარდაჭერა	განსაკუთრებით ეფექტიანია ოჯახურ, მემკვიდრეობით, შრომით, სამეზობლო და ბიზნეს კონფლიქტებში, სადაც ურთიერთობა პროცესის შემდეგაც გრძელდება.

დავის გადაწყვეტის მექანიზმების შედარებითი სქემა

კრიტერიუმი	მედიაცია	არბიტრაჟი	სასამართლო
 სისწრაფე	ძალიან სწრაფი	შედარებით სწრაფი	ხანგრძლივი
 ფინანსური დანახარჯი	ძალიან	საშუალო/მაღალი	მაღალი
 პროცედურული ფორმალიზმი	მინიმალური	საშუალო	მაღალი
 კონფიდენციალურობა	კონფიდენციალური	კონფიდენციალური	საჯარო
 გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი	თავად მხარეები	არბიტრი	მოსამართლე
 მხარეთა კონტროლი შედეგზე	მაღალი	შეზღუდული	მცირე (პროცესუალური და შინაარსობრივი კონტროლი)
 მოქნილობა (შეთანხმების შინაარსი)	მაღალი	შეზღუდული	შეზღუდული
 მოულოდნელი შედეგის რისკი	მინიმალური	საშუალო	საშუალო
 ურთიერთობების შენარჩუნება	მაღალი პოტენციალი	შეზღუდული	შეზღუდული
 ემოციური კმაყოფილება	მაღალი	საშუალო	საშუალო



მედიაციის ფორმები და სასამართლოში ჩარჩო



საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ განსაზღვრავს მედიაციის ორ ფორმას: კერძო და სასამართლო მედიაციას.

კერძო მედიაცია წარმოადგენს მედიაციის ფორმას, რომელიც მიმდინარეობს სასამართლოში სარჩელის შეტანის გარეშე. ის ხორციელდება მხარეთა ინიციატივითა და თანხმობით, როცა ორივე მხარე სურვილს გამოთქვამს, დამოუკიდებლად მოაგვაროს კონფლიქტი მედიატორის ჩართულობით.

სასამართლო მედიაცია წარმოადგენს მედიაციის ისეთ ფორმას, რომელიც ხორციელდება უკვე დაწყებული სასამართლო საქმისწარმოების ფარგლებში. აღნიშნული პროცესი შეიძლება დაიწყოს სამივე ინსტანციის სასამართლოში როგორც სასამართლოს მიერ, ასევე მხარეთა შუამდგომლობის, ინიციატივის საფუძველზე.

2.1 კერძო მედიაცია

კერძო მედიაციის დაწყებისას მხარეებს ჯერ არ მიუმართავთ სასამართლოსთვის, რადგან მედიაცია მიმდინარეობს დამოუკიდებლად, სასამართლოს მიღმა. პროცესის დასაწყებად აუცილებელია ყველა მხარის თანხმობა კერძო მედიაციაში მონაწილეობის შესახებ. შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მხარეები ერთობლივად ირჩევენ მედიატორს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთიანი რეესტრიდან. თუ მხარეები თანხმდებიან კერძო მედიაციის დაწყებაზე, მაგრამ ვერ თანხმდებიან კონკრეტული მედიატორის/მედიატორების არჩევაზე, მათ აქვთ შესაძლებლობა მიმართონ საქართველოს მედიატორთა ასოციაციას მედიატორის დანიშვნის მოთხოვნით (ან შეთანხმდნენ მედიატორის დანიშვნის განსხვავებულ წესზე). ასეთ შემთხვევაში,

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მედიატორს დანიშნავს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან, რიგითობის პრინციპის მიხედვით.

მედიატორის შერჩევის ან დანიშვნის შემდეგ, მხარეებსა და მედიატორს შორის ფორმდება წერილობითი შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის დაწყების პირობებს და მედიატორის ანაზღაურების წესს. კერძო მედიაციაში მედიატორის მომსახურების საფასურს ანაზღაურებენ თავად მხარეები, შეთანხმებით განსაზღვრული თანაფარდობით. მხარეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, ურთიერთშეთანხმებით აირჩიონ ერთი ან რამდენიმე თანამედიატორი, საქმის სირთულისა და თავისებურების, ასევე მედიატორის კომპეტენციის გათვალისწინებით.

მედიაციის დაწყებისთანავე ხანდაზმულობის ვადის (სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ვადა) დინება ჩერდება (არაუმეტეს 2 წლის ვადით) და განახლება მხოლოდ მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ. **მედიაციის დასრულების შემდეგ აუცილებელია შედგეს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მედიაციის დასრულების ფაქტს.** იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის მიღწეული იქნა მორიგება, ფორმდება კერძო სამედიაციო მორიგების აქტი.

კარძო მედიაციის ეტაპები



2.2 სასამართლო მედიაცია

სასამართლო მედიაციის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიმდინარეობს კერძო ხასიათის დავა (გარდა კანონით პირდაპირ აკრძალული დავების კატეგორიისა) და სასამართლოსთვის მიმართული აქვთ შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნით.

საქმის სასამართლოს წარმოებაში მიღების შემდეგ, მედიაცია შეიძლება დაიწყოს როგორც მოსამართლის ინიციატივით, ასევე მხარეთა სურვილის არსებობის შემთხვევაში.

საქმის მედიაციისთვის გადაცემის ეტაპზე, მოსამართლე განჩინების საფუძველზე აჩერებს სამოქალაქო საქმის განხილვას და მას გადასცემს შესაბამისი სასამართლოს სამედიაციო ცენტრს.

სასამართლო მედიაციის ვადად განისაზღვრება 45 დღე. აღნიშნული ვადა მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გახანგრძლივდეს დამატებით 45 დღით.

სასამართლო მედიაციის ცენტრისთვის სამედიაციო საქმის გადაცემის შემდეგ, ცენტრი უკავშირდება მხარეებს და აწვდის საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთიან რეესტრს მედიატორის შესარჩევად. მხარეებს ეძლევათ სამდღიანი ვადა მედიატორზე/მედიატორებზე შეთანხმებისთვის. თუ ამ ვადაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დამატებითი სამი დღის ვადაში მედიატორი ინიშნება საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ, სასამართლო მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორთა რეესტრიდან რიგითობის წესის შესაბამისად.

სასამართლო მედიაციაში მედიატორის მომსახურების საფასურს ანაზღაურებს სახელმწიფო. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, ურთიერთშეთანხმებით აირჩიონ ერთი ან რამდენიმე თანამედიატორი, საქმის სირთულისა და თავისებურების, ასევე მედიატორის კომპეტენციის გათვალისწინებით.

მედიაცია ითვლება დაწყებულად მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონკრეტულ სამედიაციო საქმეზე შეარჩევენ ან დანიშნავენ მედიატორს და მას გადაეცემა სამედიაციო საქმე. სწორედ ამ ეტაპიდან იწყება 45-დღიანი სამედიაციო ვადის ათვლა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო მედიაციის ცენტრმა დროულად უზრუნველყოს მედიატორის შერჩევის პროცედურის წარმართვა, ხოლო მედიატორებმა რაც შეიძლება მალე დაამყარონ წინასამედიაციო კომუნიკაცია მხარეებთან, დროულად ჩანიშნონ მედიაციის სესიები, რათა მხარეებმა მიზნობრივად, ეფექტიანად და გაჭიანურების გარეშე გამოიყენონ მედიაციისთვის გამოყოფილი ვადა.



გახსოვდეთ, სასამართლო მედიაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ იგი მხარეთა შეთანხმებით დამატებითი 45 დღით არ გაგრძელდა, ან გაგრძელების მიუხედავად უშედეგოდ დასრულდა, მხარემ ან მხარეებმა **10 დღის ვადაში სასამართლოს უნდა მიმართონ** საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. აღნიშნული ვადის დაუცველობის შემთხვევაში სასამართლო **საქმეს განუხილველად დატოვებს.**

აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მედიატორის პროაქტიულ როლს. კერძოდ, მედიაციის შეწყვეტისთანავე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მედიაციის ცენტრს პროცესის დასრულების შესახებ, ხოლო მხარეებს მიაწოდოს მკაფიო და ამომწურავი ინფორმაცია 10-დღიანი ვადის მნიშვნელობასა და მისი გაუთვალისწინებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე.



2.3 მედიაციას დაქვემდებარებული დავები

მედიაციაში შეიძლება განხილულ იქნას ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის დავა, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³-ე მუხლი განსაზღვრავს, რომელი დავები შეიძლება გადაეცეს მედიაციას, რომელი კატეგორიები არის მკაცრად აკრძალული და რომელი დავები შეიძლება იქნეს განხილული სასამართლო მედიაციაში მხოლოდ მხარეთა თანხმობის საფუძველზე, სასამართლოს სავალდებულო რეფერირების გარეშე.

სავალდებულო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეები

მოსამართლემ სავალდებულო მედიაციას (ე.ი. მხარეთა თანხმობის არარსებობის მიუხედავად) შეიძლება გადასცეს კონკრეტული დავები, რომლებიც კანონით არის განსაზღვრული. ასეთი დავები მოიცავს საოჯახოსამართლებრივ დავებს, სამემკვიდრეოსამართლებრივ დავებს, სამეზობლოსამართლებრივ დავებს, შრომით დავებს (კოლექტიური შრომითი დავების გარდა), საზიარო უფლების რეალიზაციის საკითხებს, ქონებრივ დავებს, თუ დავის ღირებულება არ აღემატება 20,000 ლარს, სესხებთან დაკავშირებულ დავებს საბანკო, მიკროსაფინანსო და არასაბანკო სადეპოზიტო ორგანიზაციებთან, თუ დავის ღირებულება არ აღემატება 10,000 ლარს და არაქონებრივ დავებს.

სავალდებულო მედიაციის ფარგლებში სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, მხარეთა პოზიციის მიუხედავად, გადასცეს საქმე მედიატორს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა თანხმობა აუცილებელი არ არის, თავად მხარეებსაც შეუძლიათ შეამდგომლობით მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ საქმის მედიაციაში გადაცემა. ამგვარად, სავალდებულო მედიაცია წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ერთდროულად ეფუძნება როგორც სასამართლოს აქტიურ როლს, ისე მხარეთა ინტერესს დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტაში.

არასამედიაციო საქმეები

ეს არის აკრძალული დავები, რომელთა მედიაციით გადაწყვეტა კანონით დაუშვებელია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლებების შეზღუდვასა და ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან ოჯახში ძალადობასთან. გარდა ამისა, მამობის დადგენა და ბავშვის მშობლისადმი მიკუთვნების დავები განქორწინების დროს ასევე აკრძალულია მედიაციაში განსახილველად. ამ საკითხებზე მედიაციის განხორციელება დაუშვებელია, რადგან მათზე მაღალი სამოსამართლო კონტროლი აუცილებელია და არსებობს არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის განსაკუთრებული მოთხოვნები.

აკრძალული კატეგორიის დავებზე მედიაციის დაწყება რომც მოხდეს, სასამართლო უარს იტყვის მიღწეული მორიგების აღსრულებაზე, ხოლო მედიატორს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. **აკრძალული კატეგორიის დავებზე დაუშვებელია როგორც სასამართლო, ისე კერძო მედიაციის გამოყენება.**

მხარეთა შეთანხმებით მედიაციას დაქვემდებარებული საქმეები

ეს კატეგორია მოიცავს ისეთ დავებს, რომლებიც არ მიეკუთვნება არც სავალდებულო მედიაციის სფეროს და არც აკრძალულ დავათა ჩამონათვალს, თუმცა შეიძლება გადაეცეს მედიაციას მხოლოდ მხარეთა თანხმობის საფუძველზე. ინიციატივა ამ შემთხვევაში ეკუთვნის თავად მხარეებს. ისინი ერთობლივად მიმართავენ სასამართლოს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

სასამართლო აფასებს, რამდენად მიზანშეწონილია საქმეზე მედიაციის გამოყენება. არასამედიაციო საქმის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია დავის მხოლოდ ნაწილის მედიაციისათვის გადაცემა. მაგალითად, თუ დავის საგანი მოიცავს მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას, ალიმენტის დაკისრებას და ქონების გაყოფას, მედიაციას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ალიმენტის დაკისრების და ქონების გაყოფის საკითხები, რადგან მშობლის უფლებების შეზღუდვა მედიაციის გზით აკრძალულია.

2.4 სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემა

სასამართლო მედიაციის პროცესის დაწყებამდე, სასამართლო შეისწავლის საქმის მასალებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებას, ემოციურ ფაქტორებს, დავის ბუნებას და კომპლექსურობას. თუმცა, კანონმდებელი არ მოითხოვს, რომ სასამართლომ წინასწარ განსაზღვროს მხარეთა რეალური მზაობა მედიაციაში მონაწილეობისათვის. საკმარისია, რომ სასამართლომ შეაფასოს, რამდენად შესაძლებელია მხარეების თანამშრომლობა მედიატორთან. მხარეთა ინფორმირება და შეთანხმების ნების ფორმირება დიდწილად მედიაციის პროცესში მედიატორის მიერ მიიღწევა.

მედიაციას საქმე შეიძლება გადაეცეს ნებისმიერი ინსტანციიდან, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. რეკომენდებულია, რომ მხარეებმა თავადაც აქტიურად განიხილონ მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს. მნიშვნელოვანია, მათ სწორად გააცნობიერონ, რომ მედიაციის მოთხოვნა არ ნიშნავს მათი სამართლებრივი პოზიციის სისუსტეს. პირიქით, ეს წარმოადგენს დავის ეფექტიანი, სწრაფი და ეკონომიური გადაწყვეტისკენ მიმართულ რაციონალურ ნაბიჯს, რომელიც სრულად თავსებადია მხარეთა პროცესუალურ უფლებებთან და ინტერესებთან.

ამასთანავე, **მიზანშეწონილია, რომ მხარეებმა მედიაციისათვის საქმის გადაცემის მოთხოვნით მოსამართლეს მიმართონ პირველ მოსამზადებელ სხდომამდე.** აღნიშნული უზრუნველყოფს დროის უფრო მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, ამცირებს პროცესის ხანგრძლივობას და ზრდის დავის ალტერნატიული გზით დასრულების შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ემსახურება როგორც სასამართლოს დატვირთვის შემცირებას, ისე მხარეთა ინტერესების ოპტიმალურ დაცვას.

რჩევები მხარეებისთვის მედიაციის შესაბამისობის განსაზღვრისთვის:

სწორად შეაფასეთ, ექვემდებარება თუ არა დავა მედიაციას. გადაამოწმეთ, ეკუთვნის თუ არა დავა:

- ▶ სავალდებულო მედიაციის კატეგორიას;
- ▶ აკრძალულ კატეგორიას;
- ▶ თუ შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობით.

აკრძალულ დავებზე მედიაციაში მონაწილეობა **არ მოგცემთ სამართლებრივ შედეგს.**

სავალდებულო მედიაციისას გააცნობიერეთ, რომ თანხმობა საჭირო არ არის ანუ სასამართლოს შეუძლია საქმე მედიაციას გადასცეს თქვენი ნების მიუხედავად.

შერეული დავების შემთხვევაში მოითხოვეთ საკითხების გაყოფა. კერძოდ, თუ დავა მოიცავს როგორც დასაშვებ, ისე აკრძალულ საკითხებს, დააყენეთ შუამდგომლობა, რომ მხოლოდ დასაშვები ნაწილი გადაეცეს მედიაციას (მაგალითად, ქონება, ალიმენტი და არა მშობლის უფლების შეზღუდვა).

არ აღიქვით მედიაცია როგორც „დროის დაკარგვა“. მედიაცია არ ზღუდავს სასამართლოს გზას. კონფიდენციალურობა და მოქნილობა ხშირად იძლევა შედეგს, რომელიც სასამართლოში მიუღწეველია.

2.5 სამედიაციო მორიგების აღსრულება

როგორც კერძო, ისე სასამართლო სამედიაციო მორიგება მხარეებმა შეიძლება დასამტკიცებლად წარუდგინონ სასამართლოს და მოითხოვონ მისი აღსრულება, თუ რომელიმე მხარე ნებაყოფლობით არ ასრულებს მიღწეულ სამედიაციო მორიგებას. სასამართლო ამოწმებს აღნიშნული სამედიაციო მორიგების აქტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან. თუ სამედიაციო შეთანხმება მხარეთა მიერ ნებაყოფლობით არის მიღწეული, არ არღვევს კანონის მოთხოვნებს ან სხვა პირთა ინტერესებს, უფლებებსა და თავისუფლებებს და არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, სასამართლო

ამტკიცებს მორიგებას 30 დღის ვადაში, ე.ი. ანიჭებს მორიგებას აღსრულების ისეთივე ძალას, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებას. აღნიშნული უზრუნველყოფს რომელიმე მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, მისი იძულებით აღსრულების შესაძლებლობას.

რჩევები მხარეებს სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებით:

გამოიყენეთ სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმი სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის. თუ მორიგება გულისხმობს ფინანსურ ვალდებულებებს, ქონების გადაცემას ან ხანგრძლივ შესრულებას, მიზანშეწონილია სამედიაციო მორიგების სასამართლოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად. ეს უზრუნველყოფს შეთანხმების იძულებითი აღსრულების შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში.

დარწმუნდით, რომ მორიგება ნებაყოფლობითაა მიღწეული. შეთანხმების ხელმოწერამდე გადაამოწმეთ, რომ მისი ყველა პირობა თქვენთვის ნათელია, რეალისტურია და მიღწეულია გაცნობიერებულად. სასამართლო სწორედ ამ გარემოებებს ამოწმებს მორიგების დამტკიცებისას.

ყურადღება მიაქციეთ კანონთან შესაბამისობას. მორიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას, საჯარო წესრიგს ან მესამე პირთა უფლებებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უარს იტყვის მის დამტკიცებაზე, რაც შეამცირებს შეთანხმების ეფექტიანობას.

გაითვალისწინეთ, რომ დამტკიცებული მორიგება სასამართლო გადაწყვეტილების ძალის მქონეა. სასამართლოს მიერ დამტკიცებული სამედიაციო მორიგება აღსრულებადია ისევე, როგორც სასამართლო გადაწყვეტილება. მისი დარღვევა იწვევს იძულებითი აღსრულების პროცესის დაწყების შესაძლებლობას.

გამოიყენეთ იურიდიული დახმარება მორიგების გაფორმებისას. მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია არ არის ფორმალური პროცესი, შეთანხმების სწორად ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია მისი დამტკიცებისა და აღსრულებისათვის. იურიდიული კონსულტაცია ამცირებს შემდგომი დავის რისკს.

დროულად მიმართეთ სასამართლოს. სამედიაციო მორიგების სასამართლოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა არ საჭიროებს ახალი სასარჩელო დავის დაწყებას. სასამართლო მორიგების დამტკიცების საკითხს 30 დღის ვადაში განიხილავს, რის შემდეგაც, დამტკიცების შემთხვევაში, შეთანხმებას ენიჭება აღსრულებადი ძალა.

გააზრებულად გამოიყენეთ აღსრულების მექანიზმები. აღსრულების შესახებ ინფორმაციას ყურადღებით მოუსმინეთ მედიატორის გახსნით სესიაზე და ერთხელ მაინც გაიარეთ კონსულტაცია იურისტთან თუ როგორ უნდა გამოიყენოთ კანონით მინიჭებული აღსრულების შესაძლებლობა. სამედიაციო მორიგების ხელმოწერამდე, აუცილებლად აჩვენეთ ის იურისტს, მიუხედავად იმისა, მედიაციაში გყავთ თუ არა იურიდიული წარმომადგენელი.

2.6 პრაქტიკული რჩევები

მედიაციის ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ინფორმირებულად და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მხარეები როგორც მედიაციის ფორმის შერჩევას, ისე პროცესში მონაწილეობას. ქვემოთ ჩამოყალიბებულია ძირითადი პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს მხარეთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას და მედიაციის რესურსის სრულფასოვან გამოყენებას.

გააზრებულად შეარჩიეთ მედიაციის ფორმა

მხარეებმა წინასწარ უნდა შეაფასონ, რომელი ფორმა – კერძო თუ სასამართლო მედიაცია – შეესაბამება მათ ინტერესებს. თუ მხარეებს ჯერ არ მიუმართავთ სასამართლოსთვის და აქვთ მზადყოფნა კონფლიქტის დამოუკიდებლად მოგვარებისათვის, მიზანშეწონილია კერძო მედიაციის არჩევა, რომელიც გამოირჩევა მოქნილობით, დროისა და პროცედურის თავისუფალი მართვით.

თუ საქმე უკვე სასამართლოს წარმოებაშია, სასამართლო მედიაცია წარმოადგენს ეფექტიან შესაძლებლობას, თავიდან აიცილონ ხანგრძლივი და ხარჯიანი სასამართლო განხილვა და დავა შეთანხმებით დაასრულონ.

ეფექტიანად გამოიყენეთ მედიაციისთვის განსაზღვრული ვადები

სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მედიაციისთვის დადგენილია კონკრეტული ვადები (45 დღე, შესაძლო დამატებით 45 დღით ვადის გაგრძელებით). რეკომენდებულია, რომ მხარეებმა მიზნობრივად გამოიყენონ ეს დრო, დროულად ჩაერთონ სესიებში და არ გადააქციონ მედიაცია ფორმალურ პროცედურად.

ვადების ამოწურვის შემდეგ აუცილებელია სასამართლოსთვის დროული მიმართვა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის განუხილველად დატოვების რისკი და მხარემ არ დაკარგოს გადახდილი ბაჟი.

პასუხისმგებლობით მიუდევრით მედიატორის შერჩევას

როგორც კერძო, ისე სასამართლო მედიაციაში მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მედიატორის შერჩევის პროცესში. რეკომენდებულია, მხარეებმა გამოიყენონ ეს უფლება და აირჩიონ მედიატორი, რომლის პროფესიული გამოცდილება, სპეციალიზაცია და კომუნიკაციის სტილი შეესაბამება კონკრეტული დავის ბუნებას.

თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა მედიატორის არჩევაზე, მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ მოქმედებს დანიშვნის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას და ნეიტრალურობას.

ჩაერთეთ მედიაციაში კეთილსინდისიერად და არა ფორმალურად

მედიაცია არ არის მხოლოდ პროცედურული ეტაპი ან ვალდებულება. მხარეებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, პროცესში ჩაერთონ კეთილსინდისიერად, რეალური ინტერესის, დიალოგისა და შეთანხმების სურვილით, განსაკუთრებით სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, სადაც ორ სესიაში მონაწილეობის ვალდებულება არსებობს. მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ფორმალური დასწრება, არამედ მოლაპარაკების რესურსის რეალური შეფასება.

გამოიყენეთ მედიაციის მოქნილობა ინტერესებზე მორგებული შეთანხმების მისაღწევად

მედიაცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შეთანხმება მოიცავდეს ისეთ საკითხებსაც, რომლებიც სასამართლო დავის ფარგლებს სცდება. ამიტომ, მოლაპარაკებისას მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ სასამართლოში დაყენებულ მოთხოვნებზე, არამედ მხარეთა რეალურ ინტერესებსა და საჭიროებებზე. სწორედ ეს ქმნის მოქნილი და ურთიერთმისაღები გადაწყვეტების მოძიების შესაძლებლობას.

ყურადღება მიაქციეთ ხანდაზმულობის ვადას

კერძო მედიაციის დაწყება იწვევს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას, რაც უზრუნველყოფს, რომ მედიაციაში მონაწილეობის პერიოდში მხარეებმა არ დაკარგონ სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა. ამიტომ რეკომენდებულია, სათანადოდ დაფიქსირდეს მედიაციის დაწყებისა და დასრულების დრო. საჭიროების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მედიატორს მოსთხოვონ შესაბამისი ცნობის გაცემა.

შენარჩუნეთ პროცესის დასრულების კონტროლი

მედიაცია არ ზღუდავს მხარეთა უფლებას მიმართონ სასამართლოს ან დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებს. რეკომენდებულია, მხარეებმა მკაფიოდ იცოდნენ, რომ მედიაციის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაშიც მათ სრულად უნარჩუნდებათ სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. ეს ცოდნა ამცირებს შიშს და ხელს უწყობს მოლაპარაკებაში უფრო ღიად და თამამად ჩართვას. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, სამედიაციო მორიგების წერილობით ჩამოყალიბება აუცილებელია, რათა შეთანხმება იყოს სამართლებრივად განსაზღვრული და მდგრადი შესრულებისა თუ აღსრულების თვალსაზრისით.




მედიაში პროცესი და მონაწილეთა როლი



3.1 მედიაციის ეტაპები

ქვემოთ მოცემულია მედიაციის პროცესის ძირითადი ეტაპები, თითოეულ ფაზაში მხარეთა უფლებებისა და პროცესის ლოგიკის გათვალისწინებით.



მოსამზადებელი ეტაპი

- ▶ გადაწყვეტილება მედიაციაში მონაწილეობაზე
- ▶ მედიატორის არჩევა
- ▶ პროცესის პირობების შეთანხმება (კონფიდენციალურობა, დრო, ადგილი, ხარჯები)
- ▶ მონაწილეთა განსაზღვრა (იურისტი, დარგობრივი ექსპერტი, თარჯიმანი, ფსიქოლოგი)
- ▶ ინფორმაციის მიღება მედიაციის არსსა და შედეგებზე

გახსნითი ეტაპი

- ▶ მედიატორის მიერ წესებისა და პრინციპების განმარტება
- ▶ უსაფრთხო და ნეიტრალური გარემოს შექმნა
- ▶ მხარეთა პოზიციებისა და მოლოდინების წარმოდგენა
- ▶ თანასწორი მოსმენის უზრუნველყოფა

გამოკვლევის ეტაპი

- ▶ ინტერესებისა და რეალური საჭიროებების იდენტიფიცირება
- ▶ ერთობლივი ანდა ინდივიდუალური შეხვედრები
- ▶ ინდივიდუალური კომუნიკაციის კონფიდენციალურობა
- ▶ მეორე მხარისათვის ინფორმაციის გაზიარება მხოლოდ თანხმობის შემთხვევაში

მოლაპარაკების ეტაპი

- ▶ გადაწყვეტის ვარიანტების განხილვა
- ▶ შეთავაზებების ფორმირება
- ▶ პროცესის ფორმატის და ტემპის განსაზღვრა
- ▶ საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტების ჩართვა

შეთანხმების ეტაპი

- ▶ შეთანხმება ან შეთანხმების არქონა
- ▶ შინაარსის გადამოწმების უფლება
- ▶ სხვა სამართლებრივი გზების შენარჩუნება (თუ შეთანხმება არ შედგა)

3.2 მედიატორის როლი

ვინ არის მედიატორი?

მედიატორი არის ნეიტრალური მესამე პირი, რომლის ფუნქცია არის არა დავის გადაწყვეტა, არამედ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მხარეები თავად შეძლებენ ინფორმირებული, გააზრებული და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას. იგი არც მოსამართლეა, არც არბიტრი და არც რომელიმე მხარის წარმომადგენელი. **მედიატორის მთავარი ამოცანაა პროცესის მართვა და არა შედეგის განსაზღვრა.**

მედიატორის ვალდებულებები

მედიატორი ვალდებულია დაიცვას მედიაციის ფუნდამენტური პრინციპები: ნებაყოფლობითობა, თანასწორობა, ნეიტრალურობა, მიუკერძოებლობა, კონფიდენციალურობა და კეთილსინდისიერება.

მედიატორი ვალდებულია **უზრუნველყოს უსაფრთხო და ნეიტრალური გარემო**, სადაც თითოეულ მხარეს ექნება შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია, ინტერესები და ემოციები ზეწოლის, დაშინების ან დისკრიმინაციის გარეშე. ეს ვალდებულება მოიცავს როგორც ფიზიკურ უსაფრთხოებას, ისე ფსიქოემოციური სტაბილურობის დაცვას. მედიატორი აკონტროლებს კომუნიკაციის ტონს, მართავს პროცესის დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში იღებს ზომებს დაძაბულობის შესამცირებლად.

მედიატორის ვალდებულებაა **მხარეთა თვითგამორკვევის ხელშეწყობა**. იგი არ კარნახობს გადაწყვეტილებებს და არ განსაზღვრავს შეთანხმების შინაარსს. მედიატორის ამოცანაა მხარეებს დაეხმაროს საკუთარი ინტერესების გააზრებაში, შესაძლო ალტერნატივების შეფასებაში და გადაწყვეტილების შედეგების გაცნობიერებაში, ისე, რომ საბოლოო არჩევანი დარჩეს მხოლოდ მათ ხელში.

კონფიდენციალურობის დაცვა წარმოადგენს მედიატორის უვადო ვალდებულებას. მედიატორი ვალდებულია დაიცვას როგორც მედიაციის საერთო სესიებზე, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებზე მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს მედიაციის დასრულების შემდეგაც და არ შეიძლება შეიზღუდოს მხარეთა შორის უთანხმოების გამწვავების ან სასამართლო წარმოების განახლების შემთხვევაში.

მედიატორი ასევე ვალდებულია **იმოქმედოს კეთილსინდისიერად და პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში**. მან არ უნდა აიღოს ისეთი საქმე, რომლის სირთულე ან სპეციფიკა სცდება მის ცოდნასა და გამოცდილებას. საჭიროების შემთხვევაში, მედიატორი ვალდებულია მხარეებს ურჩიოს შესაბამისი სპეციალისტების - იურისტების, ფინანსური ან ფსიქოლოგიური ექსპერტების - კონსულტაცია.

მედიატორის უფლებები

მედიატორს აქვს უფლება **განსაზღვროს პროცესის პროცედურული ჩარჩოები** (შეხვედრების ფორმატი, დრო, კომუნიკაციის წესები), იმ პირობით, რომ დაცულია მხარეთა თანასწორობა და თვითგამორკვევა.

მედიატორს აქვს უფლება **წარმართოს როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური სესიები**, თუ ეს ემსახურება პროცესის ეფექტიანობას და მხარეთა ინტერესების უკეთ გააზრებას. ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება არ წარმოადგენს მედიატორის მხრიდან ნეიტრალურობის დარღვევას, რამდენადაც დაკუთვლია კონფიდენციალურობისა და თანასწორობის პრინციპები.

მედიატორს უფლება აქვს **შეწყვიტოს მედიაციის პროცესი**, თუ აშკარა ხდება, რომ:

- ▶ მხარეები არ მოქმედებენ კეთილსინდისიერად;
- ▶ პროცესი ვერ ემსახურება რომელიმე მხარის ინტერესების რეალიზებას;
- ▶ მოსალოდნელი შეთანხმება ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან მესამე პირთა უფლებებს;
- ▶ ირღვევა მედიაციის ფუნდამენტური პრინციპები.

მედიატორს ასევე აქვს უფლება უარი თქვას საქმის გაგრძელებაზე **ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში** ან იმ შემთხვევაში, თუ პროცესში მონაწილეობა საფრთხეს უქმნის მის ნეიტრალურობასა და დამოუკიდებლობას.

მედიატორის უფლებამოსილების შეზღუდვები

მედიატორს არ აქვს უფლება **გადაწყვიტოს დავა მხარეთა ნაცვლად** ან დააკისროს მათ რაიმე სახის გადაწყვეტილება. იგი არ გასცემს სავალდებულო რეკომენდაციებს შეთანხმების შინაარსთან დაკავშირებით და არ აფასებს მხარეთა პოზიციებს მტყუნ-მართლის კატეგორიით.

მედიატორი **არ გასცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ რჩევას და არ ცვლის ადვოკატს**, რადგან ეს გამოიწვევს რომელიმე მხარის მხარდაჭერას და დაარღვევს მიუკერძოებლობის და თანასწორობის პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი შეიძლება ფლობდეს იურიდიულ განათლებას, მედიაციის პროცესში იგი ვერ ცვლის ადვოკატს ან მოსამართლეს. მედიატორს უფლება აქვს სამართლებრივი კითხვები დაუსვას მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებს, იმისათვის რომ დაეხმაროს მათ სამართლებრივი რისკების ობიექტურ ანალიზში.

მედიატორს **ეკრძალება ემოციური ან პროფესიული სიმპათიის გამოხატვა** რომელიმე მხარის მიმართ, პროცესის შედეგით დაინტერესება ან მორიგების მიღწევის სტატისტიკაზე ორიენტირება. მედიატორის წარმატება იზომება არა შეთანხმებების რაოდენობით, არამედ პროცესის სამართლიანობით.

მედიატორის შეცვლის შესაძლებლობა

მხარეებს აქვთ უფლება, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ მედიატორი და აირჩიონ სხვა მედიატორი/მედიატორები. მედიატორის შეცვლა არ ზღუდავს მათ უფლებას, გააგრძელონ მედიაციის პროცესი ახალი მედიატორის მონაწილეობით.

რჩევები მხარეებისთვის

- ▶ აღიქვით მედიატორი როგორც პროცესის მმართველი და არა დავის გადამწყვეტი; გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა სრულად თქვენზე რჩება.
- ▶ პატივი ეცით მედიატორის უფლებას, თქვენთან შეთანხმებით განსაზღვროს პროცედურული ჩარჩოები (შეხვედრების ფორმატი, დრო, კომუნიკაციის წესები), რადგან ეს ემსახურება პროცესის სამართლიანობას, ხარისხსა და ეფექტიანობას.
- ▶ გამოიყენეთ როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური სესიები კეთილსინდისიერად და გახსნილად, კონფიდენციალურობის სრული დაცვით.
- ▶ ნუ მოელთ მედიატორისგან იურიდიულ შეფასებებს, რჩევებს ან პოზიციის მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მიმართეთ იურისტს დამოუკიდებელი რჩევისთვის.
- ▶ პატივი ეცით მედიატორის ნეიტრალურობას და ნუ ეცდებით მის ჩართვას მხარეთა შორის ემოციურ ან სტრატეგიულ ალიანსში.
- ▶ იმოქმედეთ კეთილსინდისიერად. გაითვალისწინეთ, რომ მედიატორს აქვს უფლება შეწყვიტოს პროცესი, თუ იგი ვერ ემსახურება კანონიერ შედეგს.
- ▶ ნუ გამოიყენებთ მედიაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციას შემდგომი დავის ინსტრუმენტად, ის ინფორმაცია რომელიც კონფიდენციალურად მიიღეთ მედიაციის პროცესში ვერ იქნება თქვენს მიერ გამოყენებული მეორე მხარის წინააღმდეგ მტკიცებულების სახით. სასამართლო მედიაციის კონფიდენციალურ ინფორმაციას არ დაეყრდნობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ▶ გახსოვდეთ, რომ მედიატორის როლი არის პროცესის სამართლიანობისა და მხარეთა თანაბრობის უზრუნველყოფა და არა მორიგების ნებისმიერ ფასად მიღწევა.

3.3 მედიატორის პროფესიული ეთიკა და პასუხისმგებლობა

პროფესიული ეთიკის სფეროში საქართველოს მედიატორთა ასოციაცია ასრულებს ცენტრალურ რეგულატორულ და ზედამხედველობით ფუნქციას. იგი ამუშავებს და ამტკიცებს მედიატორთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, უზრუნველყოფს მათ დაცვასა და აღსრულებას, განიხილავს ეთიკური დარღვევების საქმეებს და იღებს შესაბამის დისციპლინურ ზომებს.

მედიატორის პროფესიული ეთიკა უზრუნველყოფილია შესაბამისი ნორმატიული და თვითრეგულირების მექანიზმებით. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ეთიკის კოდექსი ადგენს მედიატორთა ქცევის ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველა პროფესიონალისთვის. კოდექსი მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების, მიუკერძოებლობის შენარჩუნებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნებს.

თუ არსებობს გარემოება, რომელიც შესაძლოა აღქმული იქნას როგორც ინტერესთა კონფლიქტი მხარეებთან, მედიატორი ვალდებულია წინასწარ აცნობოს მედიაციის მონაწილეებს აღნიშნულის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, უარი თქვას პროცესის წარმოებაზე.

მხარეებს მედიატორის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, რომელიც შეისწავლის დარღვევის შინაარსს და განსაზღვრავს მედიატორისთვის შესაბამის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

3.4 სასამართლოს როლი

სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ახერხებს მოსამართლე მხარეების სათანადოდ ინფორმირებას, პროცესისთვის მომზადებასა და მედიაციის არსის გააზრებაში მათ მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია ნებაყოფლობით პროცესად არის მიჩნეული, პრაქტიკაში სწორედ სასამართლო წარმოადგენს იმ ინსტიტუციურ სივრცეს, სადაც მხარეები პირველად ეცნობიან მედიაციის შესაძლებლობას, მის მიზანსა და პოტენციურ სარგებელს. ამდენად, სასამართლოს როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ საქმის მედიაციისთვის ფორმალური გადაცემით, არამედ მოიცავს მხარეთა მედიაციისათვის მომზადების, ინფორმირების აქტიურ, თუმცა ნეიტრალურ ფუნქციას.

სასამართლოს დისკრეცია

მოსამართლეს მინიჭებული აქვს თავისუფლება, შეაფასოს საქმის გარემოებები და განსაზღვროს, რამდენად მიზანშეწონილია დავის მედიაციაში გადაცემა. ამ დისკრეციის ეფექტიანი გამოყენება სასურველია მხარეებთან სათანადო კომუნიკაციის გზით განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლე გადაწყვეტს მედიაციის შესაძლებლობის განხილვას მოსამზადებელ სხდომაზე ან საქმის განხილვის სხვა ეტაპზე. ასეთ ვითარებაში მოსამართლე მოქმედებს არა როგორც დავის განმხილველი, არამედ როგორც პროცესის მმართველი, რომლის ამოცანაა მხარეებს დაეხმაროს გააცნობიერონ მათ წინაშე არსებული პროცესუალური არჩევანი.

დავის სკრინინგი

მხარეთა მედიაციისთვის მომზადების პროცესში სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა დავის მედიაციაუნარიანობის დიაგნოსტიკა. ეს არ გულისხმობს სამართლებრივ შეფასებას ან წინასწარ მსჯელობას საქმის შედეგზე, არამედ კონფლიქტის ბუნების, მხარეთა ინტერესების, ურთიერთობის დინამიკისა და კონფლიქტის ევოლუციის ხარისხის გააზრებას. მოსამართლის მიერ დასმული ღია, ნეიტრალური კითხვები ხელს უწყობს იმას, რომ მხარეებმა თავად დაიწყონ ფიქრი იმაზე, თუ რა არის მათთვის რეალურად მნიშვნელოვანი და რამდენად პასუხობს სასამართლო პროცესი მათ ინტერესებს.

მხარეთა ინფორმირება

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მედიაციის მიმართ მხარეთა სკეპტიციზმი ხშირად გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით ან მედიაციის მიმართ არასწორი მოლოდინებით. სასამართლოს როლი ამ კონტექსტში არ არის მედიაციის რეკლამირება ან მხარეთა დარწმუნება მორიგების აუცილებლობაში. თუმცა, მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესის არსის მკაფიო, დაბალანსებული და ნეიტრალური განმარტება. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა გაიგონ მედიაციის ნებაყოფლობითი ბუნება, კონფიდენციალურობის პრინციპი, მედიატორისა და სასამართლოს განსხვავებული ფუნქციები, ასევე ის, რომ მედიაციის მცდელობა არ ზღუდავს მათ უფლებას, ნებისმიერ დროს დაუბრუნდნენ სასამართლო განხილვას სამედიაციო მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში.

მოლოდინების სწორად ჩამოყალიბება

ინფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას. სასამართლო უნდა დაეხმაროს მხარეებს გააცნობიერონ, რომ მედიაცია არ არის სამართლებრივი დავის ალტერნატიული ფორმით „მოგება“ ან „წაგება“, არამედ პროცესი, რომელიც მიმართულია ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტის ძიებაზე. ამგვარი განმარტება ამცირებს შიშს, თითქოს მედიაციაში მონაწილეობა შეიძლება აღქმული იქნას სისუსტედ ან საკუთარი პოზიციის დათმობად. პირიქით, სასამართლომ ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ მედიაცია აძლევს მხარეებს შესაძლებლობას შეინარჩუნონ კონტროლი შედეგზე და თავად განსაზღვრონ შეთანხმების პირობები, მიაღწიონ უფრო ოპტიმალურ შედეგს, ვიდრე კანონით მკაცრად შეზღუდულ მოსამართლეს შეუძლია დააყენოს მხარეებისთვის.

მედიაციის მიმღებლობის გაძლიერება

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები ან მათი წარმომადგენლები მედიაციის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი. სასამართლოს ამოცანა ასეთ ვითარებაში არ არის ამ წინააღმდეგობის უგულებელყოფა, არამედ მისი მიზეზების გამოკვლევა, გააზრება და მათზე რეაგირება. მოსამართლე, პროცესის მართვის ფარგლებში, სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, რომლებიც მხარეებს საშუალებას აძლევს თავად გადააფასონ საკუთარი პოზიცია და დაინახონ მედიაციის დიდი პოტენციალი კონფრონტაციულ და დამაზიანებელ პროცესთან შედარებით.

სასამართლოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც მედიაციის მიმართ წინააღმდეგობა მოდის არა უშუალოდ მხარისგან, არამედ მისი წარმომადგენლისგან. ასეთ შემთხვევებში მოსამართლე, ნეიტრალური და პროფესიული ტონით, ახსენებს წარმომადგენლის ეთიკურ ვალდებულებას,

ურჩიოს კლიენტს დავის გადაწყვეტის ის გზა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მის ინტერესებს და დავის ნაკლები დანახარჯებით გადაჭრას. ამავდროულად, სასამართლო უზრუნველყოფს, რომ თავად მხარემაც მიიღოს მონაწილეობა მედიაციის შესაძლებლობის განხილვაში, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში და არ დარჩეს მხოლოდ წარმომადგენლის პოზიციის გავლენის ქვეშ. მოსამართლეთა დროის გათვალისწინებით, მოსამართლეს ან სასამართლო მედიაციის ცენტრის წარმომადგენლებსა და მედიატორებს ამ მიზნით შეუძლიათ გამართონ მხარეთა საინფორმაციო შეხვედრები მედიაციის არსში უკეთ გასარკვევად.

დავის მედიაციუენარიანობა

დავა მედიაციუენარიანად მიიჩნევა მაშინ, როდესაც არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ მხარეებმა მედიატორის დახმარებით შეძლონ მოლაპარაკება და ურთიერთსასარგებლო შეთანხმების მიღწევა, ხოლო დავის გადაწყვეტა არ მოითხოვს აუცილებლად სასამართლოს მიერ ავტორიტეტული, პრეცედენტული ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღებას. გადამწყვეტია საქმის გარემოებების, მხარეთა ინტერესებისა და კონფლიქტის ბუნების ერთობლივი შეფასება.

დავა, როგორც წესი, მედიაციუენარიანია, როდესაც:

- ▶ კონფლიქტის საფუძველი არ არის მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მოიცავს პიროვნულ, ემოციურ, კომუნიკაციურ ან მორალურ ელემენტებს;
- ▶ მხარეებს შორის არსებობს ან მომავალშიც იარსებებს ურთიერთობა (ოჯახური, სამეზობლო, საქმიანი, სახელშეკრულებო);
- ▶ მხარეებისთვის მნიშვნელოვანია დავის სწრაფი, ნაკლებად ხარჯიანი და კონფიდენციალური გადაწყვეტა;
- ▶ დავის საგნის ღირებულება შედარებით მცირეა ან სასამართლო პროცესის ხარჯები შეიძლება გაუტოლდეს ან გადააჭარბოს დავის ღირებულებას;
- ▶ არსებობს რეპუტაციული, ბიზნესის ან პირადი ინტერესები, რომლებიც სცილდება სასამართლო დავის ფორმალურ ფარგლებს;
- ▶ მხარეებს ჰქონდათ მოლაპარაკების მცდელობა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა პირადი დაძაბულობის, ემოციების ან კომუნიკაციის პრობლემების გამო;
- ▶ მხარეებს სურთ შეინარჩუნონ კონტროლი პროცესსა და შედეგზე.

მედიაცია, შესაძლოა ნაკლებად ეფექტიანი იყოს, როდესაც:

- ▶ ვერ არის უზრუნველყოფილი მედიაციაში გადაწყვეტილების მიმღები პირის სრულფასოვანი მონაწილეობა.
- ▶ დავა ეხება საზოგადოებრივ ინტერესს ან საჭიროებს პრეცედენტული მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებას.
- ▶ მხარეებს შორის არის მკვეთრი ძალაუფლებრივი ან ინსტიტუციური დისბალანსი და შეუძლებელია მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა.
- ▶ დავა არსებითად ზეგავლენას ახდენს მესამე პირებზე, რომლებიც მედიაციაში ვერ მონაწილეობენ.
- ▶ ერთ-ერთი მხარე არის სახელმწიფო და არ არსებობს რეალური მზადყოფნა მორიგების პირობებზე პასუხისმგებლობის აღებაზე.

მედიაციის ცენტრების როლი

სასამართლო მედიაციის ცენტრები წარმოადგენენ მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვან დამხმარე ინსტიტუტს, რომლის ძირითადი ფუნქციაა მხარეთა შორის დავების მშვიდობიანი, სწრაფი და ნაკლებხარჯიანი გზით გადაწყვეტის ხელშეწყობა. მათი როლი მოიცავს მედიაციის პროცესის ორგანიზებას, დამოუკიდებელი და ნეიტრალური მედიატორების ჩართულობის უზრუნველყოფას, მხარეთა ინფორმირებას მედიაციის უპირატესობებზე და შეთანხმების მიღწევის პროცესის ხელშეწყობას. გარდა ამისა, მედიაციის ცენტრებს ეკისრებათ ადმინისტრაციული და მეთოდოლოგიური ვალდებულებები, როგორიცაა საქმეების რეგისტრაცია, პროცესის მონიტორინგი და მედიაციის ხარისხის გაუმჯობესება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკის წარმოებას, რადგან იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს მედიაციის ეფექტიანობა, წარმატებით დასრულებული საქმეების წილი, პროცესის ხანგრძლივობა და ზოგადი ტენდენციები. ეს მონაცემები გამოიყენება სისტემის გაუმჯობესებისთვის, პოლიტიკის დაგეგმვისთვის და საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად მედიაციის ინსტიტუტის მიმართ.

3.5 ადვოკატის როლი

მედიაციის პროცესში დასაშვებია ადვოკატის ან სხვა კვალიფიციური იურიდიული წარმომადგენლის (იურიდიული მრჩეველის) ჩართვა, თუმცა აღნიშნული სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და მხარეს შეუძლია პროცესი დამოუკიდებლადაც წარმართოს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული და სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სამედიაციო შეთანხმების (მორიგების) ხელმოწერამდე მხარემ ერთხელ მაინც მიიღოს იურიდიული კონსულტაცია. აღნიშნული აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და პირდაპირ ზემოქმედებს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. შესაბამისად, იურიდიული კონსულტაცია უზრუნველყოფს ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას, ამცირებს სამართლებრივი რისკების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მხარის მიერ საკუთარი ინტერესების სრულფასოვან დაცვას.

მედიაციის დაწყებამდე: დავის ანალიზი და სტრატეგია

მედიაციის დაწყებამდე ადვოკატის ძირითადი ფუნქცია არის კლიენტის ინფორმირება კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა მეთოდების შესახებ, მათ შორის მედიაციის პროცესის მიზნებისა და უპირატესობების ახსნა. ადვოკატმა უნდა განსაზღვროს, როდის შეიძლება მედიაცია იყოს მიზანშეწონილი და ეფექტიანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დავის ბუნება და მხარეთა ინტერესები მიუთითებს, რომ შეთანხმებით გადაწყვეტა უფრო შედეგიანი იქნება, ვიდრე სასამართლო პროცესი.

ადვოკატი ასევე ერთვება მედიატორის არჩევის პროცესში, კლიენტთან ერთად განიხილავს მედიატორის გამოცდილებას, უნარებსა და პროფესიულ რეპუტაციას. შეფასება დაფუძნებული უნდა იქნას დავის ბუნებაზე, მხარეთა ინტერესებსა და პროცესის საჭიროებებზე.

მედიაციის დაწყებამდე ადვოკატი ასევე ეხმარება კლიენტს განსაზღვროს მოლაპარაკების საუკეთესო და უარესი ალტერნატივები იმ შემთხვევისთვის, თუ მედიაცია წარმატებით ვერ დასრულდება და მხარეს მოუწევს სასამართლოში დავის გაგრძელება.

ადვოკატი ასევე განსაზღვრავს შეთანხმების ოპტიმალურ არეალს, აფასებს პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მიზანშეწონილობას და ერთვება სტრატეგიების შექმნაში, რაც უზრუნველყოფს კლიენტის ინტერესების დაცვას.

სასურველია, რომ ადვოკატმა სქემაში მოცემული პრინციპით გამოიკვლიოს კლიენტის უპირატესი ინტერესები.

მადიასიით უზრუნველყოფილი ინტერესები		პრიტიკულად მნიშვნელოვანი	მნიშვნელოვანი	პარში	უმნიშვნელო
	სარჯების შემცირება	X			
	კონფლიქტის აღმოფხვრა და გრძელვადიანი გადაწყვეტა	X			
	დავის სწრაფი გადაწყვეტა	X			
	კონფიდენციალურობა	X			
	ურთიერთობების გაგრძელება	X			
	მხარის მიერ საქმის შედეგის და დროის კონტროლი	X			
	საბოლოო და აღსრულებადი გადაწყვეტილება	X			
	ემოციური კმაყოფილება	X			

მედიაციის პროცესში: კლიენტზე ორიენტირებული მხარდაჭერა

მედიაციის პროცესის ეფექტიანობა არსებითად ეფუძნება თანამშრომლობით და ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გამორიცხავს შეჯიბრებითი სტილის დომინირებას. ადვოკატის მიერ შეჯიბრებითი პოზიციონირება მედიაციაში არ შეესაბამება ამ ინსტიტუტის მიზნობრივ ბუნებას, რამდენადაც იგი ტრადიციულად იწვევს პოზიციების პოლარიზაციას, ამცირებს დიალოგის კონსტრუქციულობას და ზრდის შეთანხმების მიღწევის სირთულეს.

შესაბამისად, ადვოკატის როლი მედიაციაში უნდა განისაზღვროს როგორც თანამშრომლობითი პროცესის მხარდამჭერი ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ინტერესების სამართლებრივად სწორ, მაგრამ მოქნილ და მოლაპარაკებაზე დაფუძნებულ დაცვაზე. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მხარეთა შორის ნდობის ფორმირებას, ამცირებს კონფლიქტის ესკალაციის რისკს და ზრდის ორმხრივად მისაღები შეთანხმების მიღწევის ალბათობას. ამდენად, მედიაციის კონტექსტში ადვოკატის პროფესიული ქცევა უნდა იყოს არა დაპირისპირებაზე, არამედ კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე ორიენტირებული.

მედიაციის პროცესში ადვოკატის როლი არსებითია პრაქტიკულ-იურიდიული მხარდაჭერისა და სტრატეგიული რჩევის მიცემაში. ამ ეტაპზე მთავარი მიზანია კლიენტისთვის მისი პოზიციის და ინტერესების მაქსიმალური წარმოჩენა, რათა მან შეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. ადვოკატი ეხმარება კლიენტს გაანალიზოს დავის ძლიერი და სუსტი მხარეები, გაარკვიოს შესაძლო რისკები, შეაფასოს რეალისტურად მოლაპარაკების სივრცე და გაიგოს, რა ფინანსური და დროითი რესურსი შეიძლება დასჭირდეს პროცესის გაგრძელების შემთხვევაში.

ადვოკატის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა კლიენტის მხარდაჭერა იმის გაგებაში, რომ მედიაციის დროს საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თავად მხარე, ხოლო მედიატორი არ არის სუბიექტი, რომელიც განსაზღვრავს დავის შედეგს. ეს გაამყარებს კლიენტის ჩართულობას და პასუხისმგებლობის განცდას, რაც ხშირად მნიშვნელოვანი ფაქტორია შეთანხმების მიღწევის პროცესში. ადვოკატი ასევე ეხმარება კლიენტს გამოავლინოს ძირითადი ინტერესები, მოტივები და საჭიროებები, რაც გადაჭარბებულ პოზიციებს მიღმა არსებულ სიღრმეს და საშუალებას აძლევს მხარეს უფრო ეფექტიანად იმუშაოს მედიატორთან.

მედიაციის დასრულების შემდეგ: მორიგების გაფორმება და აღსრულება

მედიაციის დასრულების ეტაპზე ადვოკატის როლი მოიცავს შეთანხმების პირობების იურიდიულად შემოწმებას, რათა უზრუნველყოს მათი მიზანშეწონილობა და დაცულობა. შეთანხმების მიღების შემდეგ მხარეები ანდა მხარეთა იურიდიული

წარმომადგენლები შეადგენენ სამედიაციო მორიგებას, რომელიც ასახავს მიღწეულ შეთანხმებას. ადვოკატი ამ პროცესში კონსულტაციას უწევს კლიენტს დოკუმენტაციის სწორად მომზადებისა და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს მიერ შეთანხმების დამტკიცების საკითხებში.

მედიაციის პროცესში მორიგების აქტის (შეთანხმების ტექსტის) შედგენა არ წარმოადგენს მედიატორის ფუნქციას, რადგან ეს შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდეს მის ნეიტრალურობასა და მიუკერძოებლობას. მედიატორის ძირითადი როლი არის პროცესის ფასილიტაცია, მხარეთა კომუნიკაციის ხელშეწყობა, ინტერესების გამოკვეთა და შეთანხმების მიღწევაში დახმარება, მაგრამ არა შინაარსობრივი გადაწყვეტილებების ან სამართლებრივი დოკუმენტის ფორმულირება.

საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა, რომ მორიგების აქტს ადგენენ თავად მხარეები ან მათი იურიდიული წარმომადგენლები, ხოლო მედიატორი მხოლოდ უზრუნველყოფს, რომ შეთანხმება იყოს ნათელი, რეალისტური და მხარეთა ნებაყოფლობით მიღწეული.

სტერეოტიპები მედიაციის შესახებ

ადვოკატების ნაწილში არსებობს მცდარი წარმოდგენა, თითქმის მედიაცია ამცირებს მათ შემოსავალს, რადგან საქმეები სასამართლო პროცესის ნაცვლად შეთანხმებით სრულდება. სინამდვილეში, მედიაცია არ ანაცვლებს ადვოკატის როლს. პირიქით, იგი აფართოებს მის ფუნქციურ ჩართულობას დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ეტაპზე. მხარეთა წარმომადგენლობის ფარგლებში შესაძლებელია როგორც სტანდარტული ჰონორარის, ისე შედეგზე დაფუძნებული, ე.წ. წარმატების ჰონორარის ან კომბინირებული ანაზღაურების მოდელების გამოყენება, რაც ადვოკატს ანიჭებს მოქნილ ფინანსურ ჩარჩოს.

გარდა ეკონომიკური ასპექტისა, მედიაცია მნიშვნელოვნად ამცირებს დავის ხანგრძლივობას, ამცირებს პროცესუალურ დატვირთვას და რესურსების უფრო რაციონალური განაწილების საშუალებას იძლევა. ამავდროულად, სწრაფი და შეთანხმებაზე ორიენტირებული შედეგის მიღწევა ზრდის კლიენტის კმაყოფილებასა და ნდობას, რაც პირდაპირ აისახება ადვოკატის პროფესიულ რეპუტაციასა და გრძელვადიან კლიენტურ ბაზაზე.

შესაბამისად, მედიაცია უნდა შეფასდეს არა როგორც ადვოკატის საქმიანობის შემზღუდველი მექანიზმი, არამედ როგორც თანამედროვე, ეფექტიანი და პროფესიულად სარგებლის მომტანი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს ადვოკატის როლს დავის გადაწყვეტის სისტემაში.

IV

საოჯახო დავის მედიაცია: უსაფრთხო გზები კონფლიქტის მოგვარებისთვის



საოჯახო სამართლებრივი დავების მედიაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ალტერნატივას სასამართლო პროცესთან შედარებით. მისი მიზანია მხარეთა აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობითა და კომუნიკაციით უსაფრთხო, სამართლიანი და გრძელვადიანი შეთანხმებების მიღწევა. საოჯახო დავებში მხოლოდ სამართლებრივი ან პროცედურული გადაწყვეტა საკმარისი არაა. აუცილებელია ფსიქოლოგიური, სოციალური და მულტიდისციპლინური მიდგომების ინტეგრირება, რათა პროცესი იყოს სამართლიანი, ეფექტიანი და ემოციურად უსაფრთხო.

4.1 საოჯახო დავების სპეციფიკა

საოჯახო დავები, როგორიცაა განქორწინება, შვილებთან დაკავშირებული საკითხები, ოჯახური ფინანსები, მემკვიდრეობა ან უძრავი ქონება, როგორც წესი, ძლიერი ემოციური დატვირთვით ხასიათდება. ასეთ დავებში სამართლებრივ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი განცდები, მაგალითად წყენა, იმედგაცრუება, დაკარგვის ან უარყოფის განცდა და ფინანსური დაუცველობა. ამან შესაძლოა მნიშვნელოვნად გაართულოს მხარეთა შორის კონსტრუქციული კომუნიკაცია.

მედიატორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ამოიციოს და სათანადოდ მართოს მხარეთა ემოციები, რათა მათ უსაფრთხო გარემოში შეძლონ საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების თავისუფლად გამოხატვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი შესაძლოა დამატებითი ემოციური დატვირთვის წყაროდ იქცეს. საოჯახო მედიაცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად მონაწილეობდნენ მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც მედიაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა.

4.2 განსაკუთრებული ჯგუფები მედიაციის პროცესში

საოჯახო მედიაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. თუ დავა ეხება ბავშვს, მედიაციის პროცესში ყველა გადაწყვეტილება მისი კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და განვითარების ინტერესების

გათვალისწინებით უნდა განიხილებოდეს. მედიატორი ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ამცირებს მშობლებს შორის კონფლიქტის უარყოფით გავლენას ბავშვზე. საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ან სასამართლოს ინიციატივით, მედიაციის პროცესში შეიძლება ჩაერთოს ბავშვთა ფსიქოლოგი ანდა გამოყენებულ იქნეს სოციალური მუშაკის შეფასება.

მედიატორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მხარეების საჭიროებებს, რომლებიც შესაძლოა მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ შორის ქალებს, თუ ისინი ფინანსური, სოციალური ან ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო თანაბარ მდგომარეობაში ვერ მონაწილეობენ მედიაციის პროცესში. ასეთ შემთხვევებში მედიატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ მხარეს ჰქონდეს საკუთარი პოზიციის თავისუფლად გამოხატვისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. საჭიროების შემთხვევაში, პროცესის ფორმატი შეიძლება ადაპტირდეს მხარეთა უსაფრთხოებისა და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

4.3 საოჯახო მედიაციის მეთოდოლოგია

საოჯახო მედიაციის მეთოდოლოგია ეფუძნება ემოციური უსაფრთხოების, ტრავმისადმი მგრძნობიარე მიდგომის, რეტრავმატიზაციის თავიდან აცილებისა და მულტიკულტურული და გენდერული მგრძნობელობის პრინციპებს. ეს ნიშნავს, რომ მედიაციის პროცესი უნდა იყოს მორგებული მხარეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და გარემოებებზე. ამ მიზნით, მედიატორი მხარეებს სრულყოფილად აცნობს მათ უფლებებს, მედიაციის მიზანსა და პროცესს და პროცესს ისე წარმართავს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმის განმეორება. საჭიროების შემთხვევაში, პროცესში შეიძლება ჩაერთოს ფსიქოლოგი ან სხვა შესაბამისი სპეციალისტი. ასევე, მედიაცია შეიძლება წარმართოს ინდივიდუალური შეხვედრების, ონლაინ ან ჰიბრიდული ფორმატის გამოყენებით.

საოჯახო მედიაციაში ხშირად გამოიყენება მულტიდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებს, რაც ზრდის პროცესის ეფექტურობას. მისი გამოყენება მხარეებს ეხმარება, ყურადღება გაამახვილონ არა მხოლოდ შეთანხმების მიღწევაზე, არამედ უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კონსტრუქციული კომუნიკაციის ხელშეწყობაზე.

მედიაციის საგანი არ შეიძლება იყოს ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის საქმეები. ასეთ შემთხვევებში პრიორიტეტია დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო სამართლებრივი რეაგირება ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით. თუ მედიაციის პროცესში

გამოიკვეთება, რომ პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას რეალური საფრთხე ემუქრება, მედიატორს შეუძლია შეწყვიტოს მედიაცია და კანონით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ორგანოებს. ასეთი მოქმედება კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევად არ მიიჩნევა.

4.4 ძალთა დისბალანსი

საოჯახო დავებში ხშირად არსებობს მხარეებს შორის ფინანსური, სამართლებრივი ან სხვა სახის ძალთა დისბალანსი, რაც ერთ-ერთ მხარეს შეიძლება ხელს უშლიდეს თანაბარ პირობებში მონაწილეობასა და მოლაპარაკების წარმოებაში. მედიატორის როლი ასეთ შემთხვევებში მოიცავს ინდივიდუალური სესიების მოწყობას, ინფორმაციის თანაბარ მიწოდებას, უსაფრთხო საკომუნიკაციო გარემოს შექმნას, ადვოკატებისა და ფსიქოლოგების ჩართულობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროცესის შეწყვეტას ან სასამართლოს გამოყენების რეკომენდაციას.

ძალთა დისბალანსი საფრთხეს უქმნის სამართლიანი და ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევას. ამიტომ მედიატორმა პროცესის განმავლობაში მუდმივად უნდა შეაფასოს მხარეთა მდგომარეობა, შესაძლებლობები და პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობის უნარი. ასეთ შემთხვევებში ეფექტიან ინსტრუმენტებს წარმოადგენს ინდივიდუალური შეხვედრები, ერთობლივი სესიებისთვის წინასწარი მომზადება, შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა და კომუნიკაციის მკაფიო წესების განსაზღვრა.

4.5 რეკომენდაციები

ადვოკატებისთვის რეკომენდებულია, კლიენტთან მედიაციის დაწყებამდე განიხილონ ყველა შესაძლო ალტერნატივა, მათ შორის საუკეთესო და უარესი ალტერნატივები იმ შემთხვევაში თუ მორიგება ვერ იქნება მიღწეული. მათ უნდა აუხსნან კლიენტს მედიაციის უპირატესობები, პროცესი, მედიატორის როლი და შეთანხმების სამართლებრივი შედეგები. ადვოკატებმა უნდა უზრუნველყონ ინდივიდუალური სესიების მოთხოვნა, რათა კლიენტმა დაიცვას და ეფექტურად წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია, ასევე ადვოკატებმა უნდა შეაფასონ ძალთა დისბალანსი, ემოციური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროება. ადვოკატი უნდა დაეხმაროს კლიენტს ინტერესების წარმოჩენაში, შეთანხმების ზონის განსაზღვრაში და პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვაში. საბოლოო მიზანია, რომ მხარეთა გადაწყვეტილება იყოს ნებაყოფლობითი, ინფორმირებული, თანასწორი და მოწყვლადი მხარე არ აღმოჩნდეს იძულების ან მუქარის ქვეშ.

მედიატორებისთვის მნიშვნელოვანია, მედიაციის დაწყებამდე და პროცესის მიმდინარეობისას შეაფასონ, არსებობს თუ არა მხარეებს შორის ძალთა დისბალანსი ან ძალადობის ნიშნები და რამდენად შეუძლიათ მათ მედიაციაში თავისუფლად, უსაფრთხოდ და თანაბარ პირობებში მონაწილეობა. საჭიროების შემთხვევაში, მედიატორმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი პროცედურული მექანიზმები, მათ შორის ინდივიდუალური შეხვედრები, პროცესის ადაპტირებული ფორმატი, ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა.

მედიატორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მხარეთა ინფორმირებულ მონაწილეობას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობასა და უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნველყოფას. თუ პროცესის განმავლობაში გამოიკვეთება ისეთი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის მხარის უსაფრთხოებას ან ხელს უშლის მედიაციის ნებაყოფლობით და თანასწორ პირობებში გაგრძელებას, მედიატორმა უნდა განიხილოს პროცესის ადაპტირება ან, საჭიროების შემთხვევაში, მისი შეწყვეტა და მხარეებს სამართლებრივი დაცვის შესაბამისი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითოს.

მედიატორმა პროცესის განმავლობაში უნდა იხელმძღვანელოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, ტრავმისადმი მგრძნობიარე მიდგომის, უსაფრთხო გარემოსა და პროცედურული თანასწორობის პრინციპებით, რათა მედიაცია წარიმართოს სამართლიანად და მხარეებმა შეძლონ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღება.

მხარეებისთვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ მედიაციის მიზანი და სამართლებრივი შედეგები, განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები და მოლოდინები. საოჯახო დავების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვების საუკეთესო ინტერესებს. ემოციურად დატვირთულ საკითხებში სასურველია ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ადვოკატის კონსულტაციის გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხო საკომუნიკაციო გარემოს შენარჩუნება და, საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ ან ჰიბრიდული შეხვედრების გამოყენება.

პრაქტიკული რჩევები მხარეებისთვის:

- ▶ **უსაფრთხოება პირველ ადგილზე დააყენეთ** - თუ არსებობს მიმდინარე ან რეალური საფრთხე, მედიაცია არ უნდა დაიწყოს მანამ, სანამ თქვენი ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ იქნება.
- ▶ **გულწრფელად აცნობეთ მედიატორს ძალადობის შესახებ** - ეს საშუალებას მისცემს მას სწორად შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა მედიაცია.
- ▶ **ისარგებლეთ სპეციალიზებული კონსულტაციით** - მედიაციამდე ან პროცესის განმავლობაში რეკომენდებულია იურისტთან, ფსიქოლოგთან ან ძალადობისგან დაცვის სპეციალისტთან კონსულტაცია, რათა გადაწყვეტილებები მიიღოთ ინფორმირებულად და უსაფრთხოდ.
- ▶ **არ იგრძნოთ ვალდებულება დათანხმდეთ შეთანხმებას** - მედიაცია ნებაყოფლობითია და ნებისმიერ ეტაპზე შეგიძლიათ პროცესის შეწყვეტა, თუ თავს ზეწოლის ქვეშ იგრძნობთ.
- ▶ **მოითხოვეთ პროცესის თქვენზე მორგებული ფორმატი** - მაგალითად, ცალკე შეხვედრები, კომუნიკაცია მედიატორის მეშვეობით ან წერილობითი კომუნიკაცია პირდაპირი კონტაქტის გარეშე.
- ▶ **ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ემოციურ მდგომარეობას** - თუ პროცესი იწვევს შფოთვის, შიშს ან ტრავმის გააქტიურებას, ეს არის სიგნალი, რომ ფორმატი უნდა შეიცვალოს ან მედიაცია უნდა შეჩერდეს.
- ▶ **არ დათანხმდეთ არავითარ პირობას ზეწოლის, შიშის ან დაშინების გამო** - ნებისმიერი შეთანხმება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ინფორმირებულ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული; თუ თავს იძულებულად გრძნობთ, გაქვთ სრული უფლება, შეწყვიტოთ მედიაცია.

